



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N32

2019 წლის 31 იანვარი
ქ. ქობულეთი

სს „სილქნეტი“-სათვის
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა სს „სილქნეტი“-ს თანდართული სქემის შესაბამისად ქ.ქობულეთში, მეგობრობის ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებულ გარე განათების ბოძებზე საჰაერო კაბელის მონტაჟისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე.

2. სს „სილქნეტმა“ უზრუნველყოს საჰაერო კაბელის მონტაჟისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.


4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



დ.მჭედლიშვილი



დასამონტაჟებელია ოპტიკური
 კაბელი 15 ც გარე განათების ბოძზე

- პირობითი ნიშნები**
- არსებული სატ. კანალიზაცია
 - არსებული ჭა
 - ⊗ გარე განათების ბოძი
 - ⊗ არსებული ბოძი
 - საჭაერო ოკ-12
 - - - დროშ კაბელი

პროექტი	კ. კლუაშვილი
მუდგენა	ზ. დედუაშვილი

1 - 2			
ქ. ქობულეთი, მეგობრობის ქუჩა N 9-ის მიმდებარედ			
სახაზო ნაბეჭობები	CRM ID: 198291	ფურცლები: 1	მპ: 1
საგაბელო სქემა	სს. სპ. მხმ. შ. მთავარი	7/14/2018	